

## Quo vadis germanistik? - გერმანისტიკა ქართული უმაღლესი სკოლის კურიკულუმებში, რეალობა და პერსპექტივები

გასული საუკუნის 70-იან წლებში გერმანიაში ტექსტის ლინგვისტიკაში უეცრად იქმნება კვაზიკრიზისული სიტუაცია, როცა მეცნიერთა დიდი ნაწილი ტექსტის კვლევებში გარკვეულ ზღვარს მიაღწა და თითქოს ამოწურა კვლევების სფერო და არეალი. აღმოჩნდა, რომ ტექსტის ლინგვისტიკურ კვლევებში დარჩა უაღესად ფართო სეგმენტი ტექსტის სახეობები, რომელთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა და ეს უშუალოდ დაკავშირებული იყო თანამედროვე საზოგადოების ტექნიკურ და ტექნოლოგიურ პროგრესთან. 90-იან წლებში გერდ ანთოსი და ჰაიკე ტიცი (Antos/Tiez 1997: VII) თავიანთ წინასიტყვაობაში კრებულისათვის „Die Zukunft der Textlinguistik“ კვლავ მიუბრუნდნენ ამ რიტორიკულ შეკითხვას და ჰალეში გამართულ კონგრესზე აღმოჩნდა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებმა არა თუ ხელი შეუშალეს ლინგვისტიკის ამ ქვედარგის განვითარებას, არამედ ახალი ამოცანები დასახეს მის წინაშე.

დღეს ჩვენ აქტიურად ვსვამთ კითხვას გერმანისტიკის მომავლის თაობაზე, ისევე როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები ტექსტის ლინგვისტიკის მიმართებაში და გარკვეულწილად კრიზისის საზღვართან ვდგავართ. რჩება შთაბეჭდილება, რომ დარგი განათლების რეფორმამ და მასში დასმულმა მოთხოვნებმა დააყენა დარტმყის წინაშე.

რთული აღმოჩნდა ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის ქვეყნის ჩართვა ბოლონიის პროცესში, რაც თავის მხრივ გულისხმობდა ქართული საგანმანათლებლო სივრცის ჰარმონიზაციას ევროპულთან, სასწავლო პროცესის გამჭვირვალობასა და აკადემიური აღიარების ხელშეწყობას. წინამდებარე პროექტი მიზნად ისახავდა „საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობას და შესადარობას, ევროპის დონეზე გამჭვირვალობისა და აკადემიური აღიარების ხელშეწყობას, სასწავლებლებს შორის ნდობის ჩამოყალიბებას, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფასა და აღიარებას.“ (თუნინგის პროექტი 2008: 21). უმაღლესი განათლების პროგრამების რეფორმირებისათვის განკუთვნილ საპროგრამო მასალებში (როგორცაა მაგ., თუნინგის დოკუმენტი) რეკომენდაციები მხოლოდ საბუნებისმეტყველო, სოციალური და განათლების მეცნიერებისათვის იყო შემუშავებული. შესაბამისად, მსგავსი დებულებების არქონის გამო პრობლემური აღმოჩნდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ცალკეული დარგების რეფორმირება.

თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ რეფორმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრაზე ცოტა უფრო ადრე დაიწყო და კერძოდ, 80-იან წლებში. იმ დროს გერმანული ფილოლოგიის კათედრას უკვე ხელმძღვანელობდა პროფ. დოქტ. რეზო ყარალაშვილი. ჩვენი თაობა აღმოჩნდა იმ ექსპერიმენტულ ჯგუფში, რომელმაც შესავლის კურსების შემდგომ სასპეციალიზაციო დარგობრივი დისციპლინები გაიარა ევროპულ კურიკულუმთან მიახლოებული სტანდარტით, კერძოდ,

- კურიკულუმი იყოფოდა სამ ნაწილად: ენის პრაქტიკული, ლიტერატურათმცოდნებისა და ლინგვისტიკის თეორიული კურსები;
- ენის პრაქტიკული კურსის სწავლება მიმდინარეობდა ინტეგრირებულად გერმანული მეთოდოლოგიის საფუძველზე შექმნილი სახელმძღვანელოებით;
- როგორც ლიტერატურათმცოდნეობის, ისე ლინგვისტიკის სწავლებისა და კვლევის საფუძველები ეყრდნობოდა ტექსტზე ორიენტირებულ სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიას, კერძოდ, ლიტერატურის ისტორიის სემინარზე სემინარის მონაწილეები ეუფლებოდნენ ტექსტის ანალიზისა და ინტერპრეტაციის ტექნიკას; რაც შეეხება სასწავლო მასალას, სემინარზე გათვალისწინებული იყო ლიტერატურული ეპოქის მნიშვნელოვანი ავტორები და მიმდინარეობის

საეტაპო ტექსტები. ლინგვისტიკის მიმართულებით ამ პერიოდში ინერგება კურიკულუმში სასწავლო დისციპლინა ტექსტის ლინგვისტიკაც;

- სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგია ევროპული საუნივერსიტეტო სივრცის იდენტური იყო;
- სწავლის პროცესი ინტერაქტიულ პრინციპებს ემყარებოდა;
- შეფასების სისტემა - მულტიკომპონენტური იყო;
- კურიკულუმი გახსნილი იყო ინტერნაციონალიზაციის პროცესისათვის: საუნივერსიტეტო პარტნიორობის ფარგლებში პროგრამაში ჩართული იყო მოწვეული პროფესორი, ხორციელდებოდა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლა პარტნიორ უნივერსიტეტში;

საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არაერთი კერძო უმაღლესი სასწავლებელი გაჩნდა, რამაც შრომის ბაზარზე სპეციალისტების ქაოტური ზრდა განაპირობა. პრაქტიკულად განათლების სისტემა მოწყვეტილი აღმოჩნდა შრომით ბაზართან. აღარ არსებობდა საერთო სტანდარტები უმაღლესი განათლების სისტემაში, რომელიც ხელს შეუწყობდა დარგებისა და სპეციალობების პროგრამულ უზრუნველყოფას და ქვეყნის შიგნით არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებს მოაქცევდა დარგობრივი კომპეტენციების ჩარჩოში. უკვე არსებული პროგრამები სტიქიურად იცვლებოდა და ეს ცვლილება დამოკიდებული იყო არა დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე, არამედ უწინარეს ყოვლისა აკადემიური პერსონალის დასაქმებასა და ჭარბი სტუდენტური ნაკადების ჩართვაზე სასწავლო პროცესში, რამაც ხელი შეუწყო აკადემიური ხარისხის დაწევას, რაც მოგვიანებით დასაქმების ბაზარზე უმუშევართა მზარდ რაოდენობაში აისახა.

განათლების სისტემის რეფორმა, რომელიც ევროპულ სტანდარტებს უნდა გათანაბრებოდა, თავის მხრივ, გულისხმობდა შემდეგ პუნქტებს:

- აკადემიური ხარისხის სისტემის შემოღებას;
- ორსაფეხურიანი სასწავლო სისტემის დანერგვას და მისანიჭებელი აკადემიური ხარისხით, რომელიც მისადაგებული და მისაღები იქნებოდა ევროპული დასაქმების ბაზრისთვის;
- კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შემოღებას სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობის მიზნით;
- ხარისხის უზრუნველყოფის საკითხში ევროპული თანამშრომლობის ხელშეწყობას;
- კურიკულუმების განვითარებას;
- სასწავლებლებს შორის თანამშრომლობას გამოცდილების გაზიარების მიზნით;
- სწავლების, კვლევისა და წვრთნების ინტეგრირებული პროგრამების შექმნას;

(ბოლონიის დეკლარაცია: 19. 06. 1999)

რეფორმის წინამდებარე მოთხოვნები, რომელიც ბოლონიის დეკლარაციით გაცხადდა, მძიმე მხოლოდ ქართული უმაღლესი სასწავლებლებისთვის არ იყო. ამ პროცესებმა ერთგვარად წინააღმდეგობრივი მოსაზრებები წარმოშვა საკუთრივ ევროპული უმაღლესი სასწავლებლების შიგნითაც, ვინაიდან მობილობის ფარგლებში მათ უხდებოდათ სრულიად არაადეკვატური სასწავლო კურიკულუმების მქონე სტუდენტების ჩართვა სასწავლო პროცესში.

რეფორმის ფარგლებში უმაღლეს სასწავლებლებში შეიქმნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც ცენტრალიზებულად ხელმძღვანელობდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რომლის ფუნქციაში დღემდე შედის არა მხოლოდ განათლების ხარისხის კონტროლი საგანმანათლებლო სასწავლებლებში, არამედ ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და ამ დარგში სიახლეების დანერგვა. ამ ინსტიტუციის ფარგლებში მუშაობს ორი საბჭო, ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური პროგრამების ვალიდურობასა და მათ ქმედითუნარიანობაზე.

2008 წლისთვის პროგრამული აკრედიტაციის პირველ ეტაპზე საქართველოს არაერთ უმაღლეს სასწავლებლის კურიკულუმების ჩამონათვალში ფიქსირდებოდა სასწავლო პროგრამა სახელწოდებით გერმანული ფილოლოგია (ილიას უნივერსიტეტი, თსუ, საქართველოს

უნივერსიტეტი, რეგიონალური უნივერსიტეტები: ქუთაისი, ბათუმი, თელავი, გორი, ახალციხე), რომლებიც აღმოცენდნენ ხუთწლიანი აკადემიური პროგრამების საფუძველზე, რამაც უმაღლესი სასწავლებლები გარკვეული პრობლემების წინაშე დააყენა, კერძოდ, ისინი ცდილობდნენ ხუთწლიანი სასწავლო თემატიკა სწავლების ახალ ორსაფეხურიანი სისტემის პირველივე საფეხურის კურიკულუმში როგორმე გადაეტანათ, რაც პრაქტიკულად შეუძლებელი იყო რვა სემესტრის ფორმატში. ძველი პროგრამები, სადაც, გარდა დარგობრივი საკომპეტენციო დისციპლინებისა სტუდენტს მოეთხოვებოდა ეკონომიკის, ისტორიის სხვადასხვა ქვეთემატიკის (მსოფლიო, საქართველოს, პარტიების, კულტურის ისტორია და სხვ.), ფილოსოფიის, სამართლის და ა.შ. შესწავლა, არღვევდა სტუდენტის აკადემიურ თავისუფლებას: სააუდიტორიო მეცადინეობათა აკადემიური საათობრივი ბადა მას უმცირებდა დამოუკიდებლად მუშაობის დროს, რაც ევროპული სწავლისა და სწავლების თანამედროვე სტანდარტების ერთ-ერთი აუცილებელი ქვაკუთხედი იყო. ზემოხსენებული პრობლემატიკა პირდაპირ კავშირში იყო საბოლოოდ კვალიფიკაციის მინიჭების საკითხთან.

რეფორმის პირველ ეტაპზე აკადემიურ პროგრამებში გერმანული ფილოლოგიის პარალელურად რიგ უმაღლეს სასწავლებლებში (მაგ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), საბაკალავრო პროგრამების ჩამონათვალში პარტნიორი გერმანული უნივერსიტეტების ანალოგიით (მაგ., ბაიროიტის, დუესელდორფის, თუბინგენის, ბონის, მაინცის და სხვ. ) გაჩნდა სახელწოდება გერმანისტიკა, რაც თავის მხრივ გულისხმობდა სასწავლო პროგრამებს ძირითადი ფილოლოგიური მოდულებით, რომელთა შევსება ნაწილობრივ ხდებოდა მონათესავე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სასწავლო კომპონენტებით. საკომპეტენციო საგანთა ერთიანობით კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის ამუშავების შემდგომ წინამდებარე პროგრამები კურსდამთავრებულს საბოლოოდ ფილოლოგიის კვალიფიკაციას ანიჭებდა. რაც შეეხება არაერთგზის გადამუშავებულ და შევსებულ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, რომლის ოფიციალური ბოლო ვერსია დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით, აღმოჩნდა, რომ ეს პრაქტიკულად ორი ფაქტობრივად იდენტური კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დარგი გაყოფილია და გერმანული ფილოლოგიის ქვედარგი (100503) ანიჭებს ფილოლოგიის კვალიფიკაციას კურსდამთავრებულს, ხოლო გერმანისტიკა (110423) დარგთაშორის კვლევებშია და განიხილება რეგიონთმცოდნეობის დარგობრივ ჩამონათვალში. ის რომ გერმანისტიკა/გერმანული ფილოლოგია ანალოგიურ კვალიფიკაციას ანიჭებს, ამის კიდევ ერთი დასტურია გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის მიერ 2010-11 წელს კურიკულუმების მოდიფიკაციის მიზნით დარგობრივი ექსპერტებისა და აკადემიური პერსონალისათვის ჩატარებული ტრენინგები განათლების საერთაშორისო ექსპერტების (პროფ. დოქტ. მ. ჟერმუცკი) მონაწილეობით, რომლის თემა იყო საკვანძო, დარგობრივი კომპეტენციების შემუშავება და კურიკულუმის განვითარების საკითხები გერმანული ფილოლოგიის/გერმანისტიკის დარგში.

სულ ახლახანს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი კათედრის მხარდაჭერით მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომ ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს საბოლოო შემუშავებამდე გასწორდეს წინამდებარე უზუსტობა და რეგიონთმცოდნეობის ჩამონათვალში ნაცვლად 'გერმანისტიკისა' მითითებულ იქნას ქვედარგის აღსანიშნად 'გერმანიისმცოდნეობა' ამავე ქვედარგების გრაფაში წარმოდგენილი საქართველოს-, ბრიტანეთის-, ამერიკის-, იტალიის-, საფრანგეთის- თუ თურქეთისმცოდნეობის ანალოგიით, რაც იმთავითვე ინტერდისციპლინური სასწავლო პროგრამაა. წინამდებარე ცვლილება საკვალიფიკაციო ჩარჩოში უმაღლეს სასწავლებლებს საშუალებას მისცემს შეინარჩუნონ საკუთარი

კომპეტენციის ფარგლებში სასწავლო პროგრამები და განავითარონ დარგში არსებული ტრადიციები.

დღეს უმაღლესი სასწავლებლები პროგრამული აკრედიტაციის მეორე ფაზაშია, განვითარების ახალ საფეხურზე შეიცვალა მოთხოვნები და შეიცვალა დარგის განვითარების პერსპექტივაც, რაზეც დიდი გავლენა იქონია ენობრივი პოლიტიკის ცვლილებამ. თუკი ქვეყნის დამოუკიდებლობამდე პირველი უცხოური ენის სტატუსი რუსულ ენას ენიჭებოდა, დღეს ის ინგლისურმა ჩაანაცვლა, რაც თანამედროვე მსოფლიო გამოწვევებმა განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მოქმედი 2011-16 წლის ეროვნულ სასწავლო გეგმაში ხაზგასმითაა აღნიშნული: „**მეორე უცხოური ენა** - მეორე უცხოური ენის სწავლება სავალდებულოა საბაზო-სამშალო საფეხურზე. სკოლა უფლებამოსილია გამონაკლისის სახით, სამინისტროსთან შეთანხმებით, მეორე უცხოური ენის სწავლება დაიწყოს ნებისმიერი კლასიდან. მეორე უცხოური ენა შეიძლება იყოს ნებისმიერი ენა, რომელსაც სკოლა თავისი რესურსებისა და მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესთავაზებს მოსწავლეებს. [...] თუ სკოლას აქვს სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსი, მას შეუძლია კლასების სხვადასხვა განაყოფს სხვადასხვა ენა შესთავაზოს მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.“ (ეროვნული სასწავლო გეგმა, თავი XXIV: 4) თუმცა წინამდებარე პირობა დღევანდელ საჯარო სკოლებში, დაიყვანება, მხოლოდ ერთადერთ მოცემულობაზე, კერძოდ, მეორე უცხოური ენის შერჩევა საქართველოს მრავალ სკოლაში მიმდინარეობს მხოლოდ ადამიანური და ფინანსური რესურსიდან გამომდინარე და მეტწილად ზარალდება მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესები. უცხოური ენების სწავლების სურათი მრავალ საჯარო სკოლაში ერთგვაროვანია, სახელდობრ, პირველი უცხოური ენა - ინგლისური, მეორე უცხოური ენა ხშირად უალტერნატივოდ - რუსული. იშვიათად სრულდება სასწავლო გეგმის ის შემოთავაზებაც, რომ არჩევითი კურსის სახით მოსწავლეს შეუძლია დაეუფლოს მესამე უცხოურ ენას. აქედან გამომდინარე, 2016 წელს ევროსაბჭოს მხარდაჭერით გამოცემულ საინფორმაციო ბროშურაში საქართველოს მასშტაბით ფიქსირდება:

- 1 გერმანული საერთაშორისო სკოლა, სადაც სწავლება გერმანულად მიმდინარეობს;
- 12 საჯარო და კერძო სკოლა გაძლიერებული გერმანული ენის სწავლებით მესამე კლასიდან საბაკალავრო პროგრამამდე;
- 531 საჯარო და კერძო სკოლა გერმანულის სწავლებით მეხუთე კლასიდან საბაკალავრო პროგრამამდე;
- 5 ტექნიკურ-პროფესიული სასწავლებელი;
- 7 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ძრითადი და დამატებითი პროგრამების ფორმატში ან მოდულური სისტემით ისწავლება გერმანული ფილოლოგია/გერმანიისტიკა/თარგმანმცოდნეობა (იხ. დანართი);

პროგრამული აკრედიტაციის პირველ ფაზაში როგორც აკადემიური პროგრამების დარგის ექსპერტი ჩართული ვიყავი ქართული უმაღლესი სასწავლებლების ევროპული ფილოლოგიის მიმართულებათა პროგრამების ექსპერტიზის პროცესში, რამაც გვიჩვენა სამწუხარო ტენდენცია, რომ გერმანიისტიკისა და რომანიისტიკის მიმართულებით პრაქტიკულად აბიტურიენტთა დაინტერესება სულ უფრო მცირდებოდა. აკრედიტაციის შემდგომ აღმოჩნდა, რომ დღეს საქართველოში უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე შვიდ უმაღლეს სასწავლებელში (თსუ, ილიას, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, თელავის, გორის უნივერსიტეტებში) მუშაობს საბაკალავრო პროგრამა გერმანული ფილოლოგია, მათ შორის გორის სასწავლო უნივერსიტეტში დამატებითი (minor) პროგრამის სახით, ხოლო მოდულის ფორმატში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოხუმისა და ბათუმის უნივერსიტეტებში, პროგრამის სრულ ფორმატს როგორც ძირითადს (major), დამატებითს (minor) დღემდე ინარჩუნებს 2 უმაღლესი სასწავლებელი თსუ და ქუთაისის უნივერსიტეტი.

უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სასწავლო პროგრამა ფუნქციონირებს ექვს უმაღლეს სასწავლებელში, კერძოდ, გერმანული ფილოლოგიის მიმართულებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (ორმოდულიანი) და ქუთაისის უნივერსიტეტში (გერმანული ენა და ლიტერატურა), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოდულის სახითაა წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამაში *უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა*, ასევე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში როგორც *ევროპული ენებისა და ლიტერატურის მოდული* და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში *ევროპისტიკის* პროგრამის მოდულად; წარმოდგენილი შვიდი უმაღლესი სასწავლებლიდან სამში (თსუ, ილიას უნივერსიტეტი და თელავის უნივერსიტეტი) სამაგისტრო საფეხურზე მასწავლებლის მომზადების პროგრამებში მოდულის სახით წაროდგენილია გერმანული ენის სწავლების მეთოდიკა. გერმანული მოდული მოთხოვნისდამიხედვით მუშაობს თსუ *თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის* პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო სწავლების საფეხურზე.

უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე გერმანისტიკის კვლევები ხორციელდება ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამების ფარგლებში თბილისის სახელმწიფო, ილიას და ქუთაისის უნივერსიტეტებში, მათ შორის განათლებისა და პედაგოგიკის სადოქტორო პროგრამები გერმანული ენის სწავლების მიმართულებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას უნივერსიტეტში.

როგორც უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების მიმოხილვამ გვიჩვენა, გერმანული ფილოლოგია ტრადიციული გაგებით მხოლოდ ორ უმაღლეს სკოლაშია წარმოდგენილი, თბილისისა და ქუთაისის უნივერსიტეტებში, თუმცა ორივეგან ფიქსირდება სტუდენტთა კლების ტენდენცია, რადგან კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი თავისი კვალიფიკაციის მიუხედავად ვერ იკავებს შესაბამის ადგილს სამუშაო ბაზარზე. მათი დასაქმება ძრითადად მაინც ხდება მთარგმნელ-თარჯიმნად, რაც წინააღმდეგობაში მოდის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციასთან. მართალია, დღეს საქართველოში რიგ უმაღლეს სასწავლებლებში არის მცდელობა უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურზე (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) დაინტერესებულ პირს შესთავაზონ თარგმანმცოდნეობის სასწავლო პროგრამები, მაგრამ წინამდებარე შეთავაზება მოკლებულია იმ სასტანდარტო მოთხოვნებსა და დარგობრივ კომპეტენციებს, რასაც ამ ეტაპზე აყენებს თარგმანმცოდნეობის პროგრამების წინაშე ევროკომისია, კერძოდ, გამომდინარე იქიდან, რომ თარგმანმცოდნეობა დისციპლინათაშორის დარგობრივ ცოდნას ეფუძნება, დარგობრივი კომპეტენციები ამ მიმართულებით უკვე ითვალისწინებს:

***ენობრივი, კულტურათაშორისი, საკვლევ-საძიებო, ტექნიკური და დარგობრივი კომპეტენციების ფლობას.*** დღეს თარგმანმცოდნეობა უმუშაოდ და აქტიურად დაკავშირებულია ტექნოლოგიურ პროგრესთან, მისი მართებული და სწორი განვითარება ასევე შესაძლებელია წინაპირობა გახდეს ფილოლოგიურ დარგებში მაღალტექნოლოგიებზე დაფუძნებული თანამედროვე კვლევებისათვის. სასურველია თუ უმაღლესი სასწავლებლები თანმიმდევრულად იფიქრებენ გადახედონ საკუთარ ადამიანურ და დარგობრივ რესურსებს, შეეცდებიან ფილოლოგიის გამოყენებითი ქვედარგების გააქტიურებას, რომელიც ამ ეტაპზე მეტ-ნაკლებად მოთხოვნადია ქართული დასაქმების ბაზარზე. ქართული უმაღლესი სასწავლებლები ამჟამად პროგრამული აკრედიტაციის მეორე ფაზის წინაშე დგანან, მოთხოვნები მაღალია და თანდათან საგანმანათლებლო სისტემა აყენებს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მისაღებ დარგობრივ სტანდარტებს. სასურველი იქნებოდა, თუკი უმაღლესი სასწავლებლების მიერ წინასწარ დეტალურად ჩატარებოდა შრომის ბაზრის კვლევა და გათანამედროვეებულ სასწავლო პროგრამებს შესთავაზებდა მომხმარებელს, რითაც მოხერხდებოდა დღეისათვის არსებული დარგობრივი დეფიციტის ამოვსებას დასაქმების ბაზარზე.

ვფიქრობთ, გერმანული ენა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამეცნიერო ენად არის აღიარებული, პლურილინგვურ სივრცეში როგორც ამას თავად აცხადებს გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის მიერ დეკლარირებული მემორანდუმი, კვლავაც შეასრულებს მნიშვნელოვან როლს სწავლებისა და კვლევების სფეროში. ამრიგად, ჩვენ მიერ დასმულ რიტორიკულ შეკითხვაზე პასუხი მაინც მოიძებნება ჩვენს საზოგადოებაში, გერმანისტიკის მომავალი სასკოლო და უმაღლესი განათლების ერთიანობაში, ჩვენ მიერ სწავლებისა და კვლევების სფეროში მართებულად განსაზღვრულ და აქცენტირებულ პრიორიტეტებშია, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიურ სიახლეებს ეფუძნება.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

Antos, Gerd/Tiez Heike 1997: *Quo vadis, Textlinguistik. In: Die Zukunft der Textlinguistik.* Hrsg. von G. Antos. RGL B.188; Tübingen: Niemeyer;

გერმანული ენის სწავლება და საუბარი გერმანულ ენაზე საქართველოში 2016: პრაქტიკული სახელმძღვანელო, ბროშურა ოჯახებისათვის. ევროსაბჭოს დაკვეთით. თბილისი;

თუნინგის პროექტი 2008: *საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთხელშეწყობა ევროპაში.* თბილისი;

#### **ინტერნეტრესურსები:**

Memorandum zur Förderung des Deutschen als Wissenschaftssprache. ხელმისაწვდომი ინტერნეტმისამართი:

[https://www.daad.de/de/download/broschuere\\_netzwerk\\_deutsch/Memorandum\\_veroeffentlicht.pdf](https://www.daad.de/de/download/broschuere_netzwerk_deutsch/Memorandum_veroeffentlicht.pdf).

უკანასკნელი ნახვა 22.02.2017;

ბოლონიის დეკლარაცია. 19.06.1999. ხელმისაწვდომი ინტერნეტმისამართი: [https://www.tsu.ge/data/file\\_db/qa\\_bologne/boloniis%20deklaracia.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/qa_bologne/boloniis%20deklaracia.pdf), უკანასკნელი ნახვა 22.02.2017;

ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 (მოქმედი რედაქცია). ხელმისაწვდომი ინტერნეტმისამართი: <http://www.mes.gov.ge/content.php?id=3923&lang=geo> უკანასკნელი ნახვა 22.02.2017;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“. ხელმისაწვდომი ინტერნეტმისამართი: [http://gtu.ge/quality/Files/Pdf/120\\_kv\\_charcho\\_31-8-16.PDF](http://gtu.ge/quality/Files/Pdf/120_kv_charcho_31-8-16.PDF) უკანასკნელი ნახვა 22.02.2017;

აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამები: გერმანული ფილოლოგია/გერმანისტიკა/გერმანული ენის სწავლების მეთოდის ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში

N	უსდ დასახელება	I საფეხური	II საფეხური	III საფეხური	ელექტრონული მისამართი
1	ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	გერმანული ენა და ლიტერატურა (major/minor)	საგნის სწავლების მეთოდის (მოდული: გერმანული ენის სწავლების მეთოდის)	-	<a href="http://tesau.edu.ge/">http://tesau.edu.ge/</a>
2	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	გერმანული ფილოლოგია (minor)	-	-	<a href="http://www.gu.edu.ge/ge/">http://www.gu.edu.ge/ge/</a>
3	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	გერმანული ფილოლოგია (major/minor)	გერმანული ფილოლოგია (მოდული: გერმანული ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა)  თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა  მასწავლებელთა განათლება (გერმანულის სწავლების მეთოდის)	ფილოლოგია (მოდული: გერმანული ფილოლოგია; თარგმანმცოდნეობა)  პედაგოგიკა /განათლების მეცნიერებები	<a href="http://www.tsu.ge">http://www.tsu.ge</a>
4	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული მეცნიერებები (გერმანისტიკა)	უცხო ენათა ფილოლოგია (მოდული: გერმანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა  გამოყენებითი მეცნიერებები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა (გერმანულენოვანი მოდულით)  განათლების მეცნიერებები	ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა  პედაგოგიკა /განათლების მეცნიერებები	<a href="https://iliauni.edu.ge/ge">https://iliauni.edu.ge/ge</a>
5	აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო	გერმანული ენა და ლიტერატურა (major/minor)	გერმანული ენა და ლიტერატურა	გერმანული ენათმეცნიერება (გერმანულ-ქართული)	<a href="http://www.atsu.edu.ge/">http://www.atsu.edu.ge/</a>

	უნივერსიტეტი			ორი ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა: კონტრასტული ენათმეცნიერება დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურა	
6	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	გერმანული ფილოლოგია (BA)	ევროპული ენები და ლიტერატურა (მოდული: გერმანული ენა და ლიტერატურა)	-	<a href="http://sou.edu.ge/">http://sou.edu.ge/</a>
7	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	გერმანული ფილოლოგია (major/minor) თარგმანმცოდნე ობა (სასპეციალი- ზაციო მოდულით გერმანული)	ევროპეისტიკა (მოდული: გერმანული ფილოლოგია/ ტრანსლატოლოგია)  ლინგვისტიკა (მოდული: თარგმანმცოდნეობა)	-	<a href="http://bsu.edu.ge/">http://bsu.edu.ge/</a>